ქალაქ ბათუმის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**g-15. 1523272001**

თარიღი:**29/09/2023**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში დაბა ჩაქვის ტერიტორიაზე მდებარე N36-ე საბავშვო ბაღში, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებულ აღსაზრდელთა საგამონაკლისო წესით ჩარიცხვასთან დაკავშირებით, ა(ა)იპ "ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანებისათვის" თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის და მე-3 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. ა(ა)იპ „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება“-ს მიეცეს თანხმობა, 2023/2024 სასწავლო წლისათვის, უსასყიდლოდ განახორციელოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, დაბა ჩაქვის ტერიტორიაზე მდებარე N36-ე საბავშვო ბაღში, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებულ აღსაზრდელთა ჩარიცხვა, დადგენილი ზედა კვოტირების ფარგლებში, ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მოწოდებული სიის შესაბამისად და უზრუნველყოს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის მიწოდება.

2. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. წინამდებარე განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რამაზ ჯინჭარაძე

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი